განმარტებითი ბარათი

- პროექტი დამუშავებულია ქ. თბილისის უფლებრივი ზონირების ზოგადი რუკის, ასევე სამშენებლო მოედნის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევებისა და ტოპოგრაფიული ნახაზის საფუძველზე.
- საპროექტო შენობა IV კლასის დაქვემდებარებულ შენობა - ნაგებობათა რიგს მიეკუთვნება: საპროექტო ობიექტი ერთსართულიანია და მისი კონსტრუქციული სიმაღლე არის 8.720 მ. ხოლო მალის სიგრძე 21.000 მ.
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისში, ლუბლიანას ქ. №22. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია №01.13.01.003.010..

- საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ადმინისტრაციული მართვისა და სააწყობე დანიშნულების შენობას მოშენების ფართით 1961.030 მ². საერთო სამშენებლო ფართია 1961.030 მ², ხოლო ფართი შიდა კონტურზე 1949.650 მ² (სათავსოების ჯამური ფართია 1949.650 მ²). საერთო სამშენებლო მოცულობაა 17159.000 მ³.
- პროექტით გათვალისწინებულია:

1. სამი სასაწყობე სათავსო თითოეული ფართით 378.650 მ², 504.350 მ², 310.000 მ².
2. ორი საოფისე ფართი თითოეული ფართით 204.950 მ², 207.100 მ².
3. დამხმარე სათავსოები ჯამური ფართით 332.775 მ².

- სამშენებლო მასალად გათვალისწინებულია პოლიურეთანის კედლისა და ჭერის სენდვიჩ პანელები და მისი შესაბამისი ლითონის კონსტრუქციები: ალუმინის შველერები, კუთხოვანები. თავად პოლიურეთანის სენდვიჩი წარმოადგენს ლითონის ფურცლებს შორის პოლიურეთანის ქაფით შევსებულ სამშენებლო პანელს. სენდვიჩის გარეკანი 0,55 მმ-იანი გოფრირებული, ორმაგად გალვანიზებული და შეღებილი (RAL 9002) თუნუქის ფურცლებია. ფურცლების შეღებვა ხდება სპეციალური ტექნოლოგიით გალვანიზების მეთოდით, რაც უზრუნველყოფს საღებავის მდგრადობას გარემო პირობებთან მიმართებაში. პოლიურეთანი 42/მ³ სიმკვრივისაა. სენდვიჩებს გააჩნია საკეტები, რომელიც დედალ-მამალი პრინციპითაა განლაგებული. მათი საშუალებით ხდება პანელების ერთმანეთზე მოქაჩვა, რაც უზრუნველყოფს შეერთების ადგილების მაქსიმალურ ჰერმეტიულობასა და თბოიზოლაციას. სვეტ, საწყობებში გამოყენებულია სპეციალური ზედა რელსზე ჰორიზონტალურად მოძრავი კარები, დაბალტემპერატურული რეჟიმით, რომლის სისქეა120 მმ. ასევე გამოყენებულია სპეციალური ფორმის ალუმინის პროფილები, ჭერის სენდვიჩის დამაგრებისათვის და სხვადასხვა ფორმის და ზომის თუნუქის კუთხოვანები, ჰერმეტიზაციის სილიკონები და მასტიკები.
  - პროდუქციის მოქნილად მიღების თვალსაზრისით იქ დამონტაჟდება ორი „dock-leveler" - ი ანუ, ამწე მოწყობილობა.
  - პროექტში გამოყენებულია თეთრი, ლურჯი და ცისფერი ფერების კომბინაცია.

კორექტირების შედეგად შეიცვალა მთავარ ფასადზე გათვალისწინებული კარების ფერი, მათ თავზე განთავსდა ფარდულები, შენობის მთავარი სიმაღლე შემცირდა +8.00 მეტრამდე 1-9 და 9-1 ღერძებში განთავსდა სამ -სამი საჰაერო ღიობი. პროექტით გათვალისწინებული სახანძრო კიბეები გადაბნაცვლდნენ, ელექტრო კარადა დაემატა 1-9 ღერძებში.

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

k_1---0.39, k_2---0.39, k_3---0.25.

ნაკვეთის ფართი --- 4961 მ²,

გამწვანების ფართი --- 1282.150 მ²,

მოშენების ფართი --- 1965.900 მ²,

განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართი --- 1961.030 მ²,

საერთო სამშენებლო ფართი --- 1965.900 მ²,

საერთო სამშენებლო მოცულობა --- 1572.72 მ³.

ფართი შიდა კონტურზე --- 1949.650 მ²,

საზაფხულო ფართი (დოკ-ლეველერი) --- 3.130 მ²,

სათავსოების ჯამური ფართი --- 1937.900 მ²,

მათ შორის: კომერციული ფართი --- 1637.050 მ²,

დამხმარე ფართი --- 300.850 მ².


შენობის კონსტრუქციული სიმაღლე --- 8.00 მ,

შენობის სიმაღლე --- 8.00მ,

შენობის საპროექტო-გეგმარებითი ნულოვანი ნიშნული შეესაბამება ტოპოზე მოცემულ აბსოლიტურ ნიშნულს /+429.12/.

ფორმატი PAPER SIZE	ხელშეკრულების № CONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A-3		1.6.07	gegmebi.dwg

ჰორიზონტალი ალნიშვნები LEGEND



შენიშვნები NOTES

1. ნახაზზე ზომები მოცემულია მმ-ებში;
2. ნახაზზე ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან;
3. ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება ნინა ვარიანტი;

ექსპლიკაცია EQSPLIKATION

სიტუაციური სქემა KEY PLAN



დამკვეთი CLIENT შპს "M-სარვისი", ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ №22.

პროექტი PROJECT **ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობა**

მისამართი ADRESS

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
შეასრულა:	მ. ჯოჯიშვილი	
შეამოწმა:	თ. ჯინჯარაძე	
დაამტკიცა:	ა. მორჩილაძე	

თბილისი 2010წ

Industrial Construction Engineering Solutions
თბილისი, საქართველო, იუმაშევის ქ. №14
Tbilisi, Georgia, iumashev st. №14 www.ices.ge

არქიტექტურული ნაწილი ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE	//2012

ნახაზი DRWG. **განმარტებითი ბარათი, ტექ. ეკონომიური მაჩვენებლები**

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურ. PAGES
მუშა	პ-1	18